ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13233348**

თარიღი:**30/11/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში სკოლის მშენებლობის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

   ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ წყრუთში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით N62.07.52.032.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი